

## პედაგოგიური პროცესების ემოციური ფონი უმაღლეს სკოლაში

თინათინ შერვაშიძე

თსუ პედაგოგიური კათედრის დოცენტი

**საკვანძო სიტყვები:** პედაგოგიური პროცესი, ემოციური ფონი, უმაღლეს სკოლა

“არ მიყვარს, იმიტომ რომ არ ვუყვარვარ და მე ვგრძნობ ამას,” “როცა არ მიყვარს, კომპლიმენტსაც ვერ ვეტყვი,” “სრულიად გაუცნობიერებლად ვუყურებ ლექტორს თვალებში და არანაირ უხერხულებას არ ვგრძნობ,” “ლექტორების უმეტესობა დაკომპლექსებულია, ისინი ვერ ამყარებენ მეგობრულ ურთიერთობას სტუდენტებთან”- ასე გულახდილად და დამაფიქსირებლად საუბრობენ სტუდენტები იმ პრობლემაზე, სტუდენტსა და პედაგოგს შორის არსებული ურთიერთობების ემოციურ მხარეს რომ ეხება, ეს კი, უმეტესწილად, განსაზღვრავს მათ შორის ინტელექტუალურ-კულტურული თუ ეთიკური კავშირების ხარისხს. ორ ადამიანს შორის ურთიერთობა (სოციალური ურთიერთობა) მთლიანად დაკავშირებულია მთელ რიგ ფსიქოლოგიურ პროცესზე. ადამიანის შინაგანი თუ გარეგანი სამყაროს მდგომარეობაზე ანუ ემოციაზე.

თემის შერჩევისას, სხვადასხვა ასაკისა და პროფილის სტუდენტებს შორის უზოგადეს საკითხზე - “პედაგოგი და სტუდენტი” - საუბრისას, შევნიშნეთ, რომ ისინი გაცილებით მეტ ყურადღებას აქცევენ მათ შორის ემოციური ურთიერთობის დონეს, ვიდრე ინტელექტუალურს. საკითხი მეტად საინტერესოა იმ თვალსაზრისითაც, რომ ამაღლებულ კათედრაზე მდგომი, ჰალსტუხიანი ლექტორის ხატი, როგორც ფსევდოავტორიტეტისა, უკვე მრავალმხრივი მსჯელობის საგანია. საყურადღებოა ისიც, რომ როცა ლექტორზე, როგორც მხოლოდ და მხოლოდ ინფორმაციის გადამზადებაზე ვსაუბრობთ, სტუდენტები მას დაუნანებლად ცვლიან კომპიუტერზე ან პედაგოგიური პროცესისათვის უფრო ხელსაყრელ რომელიმე ტექნიკურ საშუალებაზე. ასეთ სიტუაციაში ეპოქალური ნიჰილიზმის შემცველი პრობლემური შეკითხვაა: არის თუ არა საჭირო პედაგოგი პედაგოგიურ პროცესში? უკვე არავის უკვირს, რომ პედაგოგს სასწავლო - საგანმანათლებლო დაწესებულებაში დარჩენისას, საკმაოზე მეტი ემოციური მოთხოვნები და პრეტენზიები მიეყენება. ამას კი იმ სფეროში გადავყავართ, რომელსაც პირობითად “პედაგოგიური ევრიკა” შეიძლება ვუწოდოთ, ეს კი, თავის მხრივ გულისხმობს იმ “საინკუბაციო პერიოდს”, რომლის წარმატებით გავლის შემთხვევაში, პედაგოგიურ მიგნებასთან გვექნება საქმე. “ევრიკა” კი (ვიპოვე!) დიდი ხანია უკავშირდება ახლის დანახვის სიხარულს ნებისმიერ პროფესიაში.

ჟურნალისტური ევრიკის, იგივე პედაგოგიკური პრაქტიკის ე.წ. “საინკუბაციო პერიოდს” განეკუთვნება ის საინტერესო ფაქტორი, რომელზეც სტუდენტები ყველაზე ხშირად საუბრობენ. ეს არის სიზმარი. ისინი თვითონვე სვამენ კითხვას: ნახულობენ თუ არა პედაგოგები სიზმრად თავიანთ ალსაზრდელებს? კითხვა ფორმალური ხასიათისაა, მისი ავტორები დარწმუნებულნი არიან, რომ ეს ნამდვილად ასე ხდება, რადგან თვითონ ყველაზე ხშირად პედაგოგებს ნახულობენ სიზმრად. სტუდენტზე უზარმაზარი ემოციური გავლენა აქვს დადასტურებულ ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ პედაგოგი სხვა სოციალურ გარემოშიც სტუდენტზე ფიქრობს. ისინი მეტად დადებითი ემოციებით იხსენებენ ფაქტებს (ვთქათ, ლექტორები სამდივანოში სტუდენტებზე საუბრობენ, ხელფასის რიგში, საერთო შეკრებაზეც იგივე მეორდება, საუკეთესო შემთხვევაა, როცა პედაგოგის ოჯახის წევრებიც კი იცნობენ სტუდენტებს. სტუდენტები დიდი

სიამოვნებით იხსენებენ მათი ლექტორის წინა დამით ნანახ სიზმარს, თითქოს მას იმავე სტუდენტებმა იმავე დღისათვის დაგეგმილი კოლოკვიუმი ბრწყინვალედ დაუწერეს და ა.შ...) ამით იმის თქმა გვსურს, რომ პედაგოგიური ურთიერთობები, საუკეთესო შემთხვევაში, მხოლოდ ლექცია - სემინარების ქრონომეტრაჟში არ თავსდება და ამას უფრო ღრმა, ადამიანური, ემოციური გაგრძელება აქვს.

პედაგოგიური პროცესების სისტემაში ურთიერთობის ემოციურ ფონს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. ემოციურობის საკითხს მივყავართ ინდივიდუალურობის პრობლემასთან, რაც დიფერენციალურ მიდგომას საჭიროებს. ეს მიდგომა აღიარებს ადამიანს, როგორც განუმეორებელს. მკვლევართა უდიდესი ნაწილი აღიარებს, რომ “აღზრდას არ შეუძლია ანგარიში არ გაუწიოს ადამიანთა ბუნებრივ სხვადასხვაობას, მათი ტემპერამენტისა და ხასიათის გამოვლინებებს, გრძნობათა ოგრანოების თავისებურებებსა და სხვა”<sup>1</sup> ხასიათის ინდივიდუალობას პიროვნების სამ ემოციური სამყაროს ინდივიდუალობასთან მივყავართ. ემოციას, თავის მხრივ, მჭირო კავშირი აქვს მოთხოვნილებებთან და ქცევის მოტივებთან. ს.რუბინშტეინის ფორმულით, ეს კავშირი მდგომარეობს იმაში, რომ ემოცია გვევლინება მოთხოვნილების არსებობის სუბიექტურ (ფსიქოლოგიურ) ფორმად.

ამ შემთხვევაში ჩვენი ინტერესის საგანია სტუდენტობის ასაკის მოზარდთა ემოციური მდგომარეობა. ადამიანის განვითარების ასაკობრივი ფაზებიდან სტუდენტობის ასაკი ემთხვევა ე.წ. “მოწიფულობის” ხანას(21 წლოდან 50 წლამდე). “მისი თავი და ბოლო ისე არ განსხვავდება ერთმანეთისაგან, როგორც მოზარდობის და მოხუცებულობის ფაზები.”<sup>2</sup> სტუდენტი სკოლის ასაკიდან ძალიან ღრმა და მნიშვნელოვანი ფიზიკური, ინტელექტუალური თუ ემოციური გარდატეხებით მოდის. სტუდენტური ასაკის ფსიქოლოგიურ-ემოციური თავისებურებები განპირობებულია ი.ჭკუასელის მიერ შემოთავაზებული შემდეგი ფაქტორებით: “აღსაზრდელი გრძნობს რა ფსიქო-ფიზიკური ძალების ერთბაშად მოზღვავებას და სიმწიფის მოახლოებას, ფსიქოლოგიურად დიდი მანძილით უსწრებს წინ ნამდვილ ასაკს და თავის უფრო მომწიფებულად და სრულიად განიცდის ვიდრე ამას ფაქტობრივად აქვს ადგილი.”<sup>3</sup> სწორედ ამით შეიძლება აიხსნას ამ ასაკის ადამიანებისათვის დამახასიათებელი მაქსიმალიზმი , რომელსაც სშირად წინააღმდეგობრივი რეაქციებით ხვდებიან. ამ ბუნებრივი და ტრადიციული გაუგებრობით აიხსნება ე.წ. “მამათა და შვილთა” ურთიერთობის საკითხი.

ჭაბუკობის პერიოდი (15-16 წლიდან 20-21 წლამდე) ა.ბუზემანმა “ახალგაზრდობის კრიზისის” სახელწოდებით მოიხსენია. ეს კი, თავის მხრივ, გულისხმობს მაღალ აგზნებულობას, ემოციურ დამაბულობას, მოტორულ მოუსვენრობას.

თეორიულ ლიტერატურაში ამ ასაკს შემდეგნაირად ახასიათებენ: “ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ჭაბუკობა არის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების, ხასიათის ძირითად თვისებათა ფორმირების, თვითცნობიერების საბოლოო განვითარებისა და ქცევის ძირითადი პრინციპების დადგენის პერიოდი.”<sup>4</sup>

“ადამიანი არც ერთ ასაკში არაა შინაგანად ისე ძლიერ მიმართული მომავლისკენ, როგორც ჭაბუკობის პერიოდში”<sup>5</sup>

ზოგადად შეიძლება გომოვყოთ პიროვნების ემოციური სფეროს გამოვლენის რამდენიმე დონე: “ეფექტურ-ემოციური მგრძნობელობა; ბ)აფექტები; გ)საგნობრივი ემოციები; დ) გრძნობები; ე) განწყობა; ვ) სტრესი.

ზემოთ მოტანილი ემოციური მდგომარეობებისა და პროცესების კლასიფიკაციიდან პედაგოგიკისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გრძნობები. “სოციალურ ფსიქოლოგიაში მათ ემოციურ ურთიერთობებს უწოდებენ, ეს არის მაგალითად: სიმპათია, ემპათია, სიყვარული და სხვა”. – წერს ს.სმირნოვი<sup>6</sup> და აქვე მოიხსენებს ტერმინს “ატრაქცია”, რომელიც ასე განიმარტება: “პოზიტიური შეფერილობის მქონე ურთიერთობის ყველა სახის კრებითი მნიშვნელობა. რომელიც მიმართულია ერთი ადამიანის მხრიდან მეორე კონკრეტული ადამიანის მიმართ.”<sup>7</sup>

ცნობილია, რომ პედაგოგიური ურთიერთობები ზოგადად და განსაკუთრებით უმაღლეს სკოლაში, ცივილურ გარემოსა და ფორმებში მიმდინარეობს, ამოტომ ასეთ პირობებში დადებითი ემოციები უნდა დომინირებდეს: ატრაქციის წარმოშობას კი ხელს უწყობს სხვადასხვა გარეგანი ფაქტორი: სოციალური სტატუსი, განათლება, პროფესია, პიროვნული ღირსებები, კომპეტენტურობა, მაგრამ ამასთანავე დადებითი ემოციების ძალიან მაღალ დონეზე გამოვლენა, ამცირებს ატრაქციის ხარისხს. სიმპათიის გამოვლენისათვის მნიშვნელოვანია ერთი შეხედვით ისეთი მარტივი და უბრალო მეთოდების გამოყენება, როგორცაა თანამოსაუბრისათვის მუდმივად თვალში ყურება, გაღიძება, მოსაუბრესთან მცირე დისტანციაზე დგომა, გულახდილობის დემონსტრირება და ა.შ. მაგრამ ატრაქციის ხარისხი შესამჩნევად მცირდება, როცა გულახდილობის დონე ზღვარს სცილდება!

როგორც აღვნიშნეთ, ემოციური პროცესების კვალიფიკაციის დროს ყველაზე მნიშვნელოვანი იყო განცდა (სტუდენტისა და ლექტორის ურთიერთობის გათვალისწინებით), რადგან განცდა წარმოიშობა როგორც შედეგი ყველაზე ხშირად გამოვლენილი საგნობრივი ემოციების კონსოლიდაციისა. თავის მხრივ, საგნობრივი ემოციები იყოფა სამ ნაწილად: ინტელექტუალური (ცნობისმოყვარეობა, გაკვირვება, სიახლის შეგრძნება); ესთეტიკური (სილამაზის, რიტმის, ჰარმონიის გრძნობა); მორალური (სირცხვილის, სამართლიანობის, პატივის, ღირსების გრძნობა); პიროვნების შეფასებისას ასეთი დიფერენციალური მიდგომა წარმოშობს ე.წ. გრძნობას (Чувство), რომელიც გულისხმობს პიროვნების ემოციურ დამოკიდებულებას (შეფასებას) სხვა პიროვნების მიმართ. ს.სმირნოვი წერს: “შეიძლება გიყვარდეთ ადამიანი და გქონდეთ მის მიმართ ნეგატიური ემოცია, მისი კონკრეტული ქმედებით გამოწვეული.” სტუდენტები ძალიან ხშირად საუბრობენ ლექტორებზე, რომელიც უყვართ, მაგრამ მისი რომელიმე კონკრეტული ქმედებით არ მოსწონთ, მოწონებაც და უარყოფითი ემოციაც საგნობრივი ემოციის რომელიმე სახეს უნდა განეკუთვნებოდეს (ინტელექტუალურს, ესთეტიკურს, მორალურს). შეყვარების ფსიქოლოგიური კატეგორია არ გულისხმობს (თუ არ უაყოფს) აქსიომურად იდეალური პიროვნების არსებობას. სტუდენტს აინტერესებს პედაგოგი იმდენად, რამდენადაც მას კონკრეტული ადამიანური თვისებების გამოვლენა შეუძლია. ესე იგი, ამ შემთხვევაში, სტუდენტისა და პედაგოგის შინაგანი თუ გარეგანი სამყაროს მსგავსება – თანხვედრა, იწვევს მოწონებასა და შეყვარებას. ს.სმირნოვი მიზანშეწონილად მიიჩნევს ტ.კემპერის მიერ შემოთავაზებული სიყვარულის სახეების ტიპოლოგიის ჩვენებას. სიყვარულის ჩამოთვლილ სახეთაგან (რომანტიკული, მეგობრული, ხარიზმატული, მშობლიური სიყვარული, თაყვანისცემა, შეყვარება) ს.სმირნოვი პედაგოგიური ურთიერთობებისათვის უმთავრესად მიიჩნევს ე.წ. “ხარიზმატულ სიყვარულს”, რომლის დროსაც პარტნიორი (ხარიზმა) ფლობს ძალაუფლებასა და სტატუსს, მეორე პარტნიორი კი - მხოლოდ სტატუსს. ეს იმას ნიშნავს, რომ პირველი უფლებამოსილია, დაიმორჩილოს მეორე, შეასრულებინოს მას მისთვის (პირველისთვის) სასურველი საქმე: ხოლო მეორე ებუღობს პარტნიორის

მოთხოვნებს. პირველის ქმედება არ გულისხმობს ძალმომრეობას, არც მეორე პარტნიორის ქმედებაა “მონური”. მათი ურთიერთობის რომელიმე ჭრილში ორივე მხარის სურვილები ხვდება ერთმანეთს.

ჩვენ საჭიროდ მივიჩნევთ უმაღლესი სკოლის პედაგოგიური პროცესების ემოციური ფონის შესწავლისას სიყვარულის ისეთი სახის წინ წამოწევას, სადაც პარტნიორები ფლობენ თანაბარი დონის ძალაუფლებასა და სტატუსს. ინტელექტუალურ სფეროში ამის დასადასტურებლად სავსებით საკმარისია სტუდენტთა და პედაგოგთა ერთობივი მუშაობის ფაქტების ჩვენება სამეცნიერო თემებზე. უფრო მეტიც, ხშირად სტუდენტი და ლექტორი ქორწინდება ერთმანეთზე კიდევ. ორივე მაგალითი ოდნავ არატრადიციული და არაორდინალურია, მაგრამ სიყვარულის ამ ტიპის არსებობა აღნიშნულ ურთიერთობებში ხსნის კომპლექსებს და ორივე მხარეს ჰარმონიულ, კომფორტულ, პარტნიორულ გარემოს უქმნის.

პედაგოგიურ პრაქტიკაში მნიშვნელოვანია აგრეთვე ტერმინ “ემპათიის” ცნება. კ.როჯერსის განმარტებით, ეს არის ერთი ადამიანის მდგომარეობა, როცა ის მზადაა მიიღოს მეორე ადამიანის შინაგანი სამყარო მთელი თავისი ემოციური და აზრობრივი შეფერილობით. (ყველაზე ხშირად ასეთი რამ ხდება ბავშვთა სახლებში). ეს პედაგოგის მხრიდან დროებით სხვისი ცხოვრებით არსებობას გულისხმობს. ურთიერთობების ამ დონეზე აყვანა პედაგოგიკის უმაღლესი არსის ხორცშესხმაა.

კლასიკური გაგებით უმაღლესი სკოლა სტუდენტისათვის განათლების განსაზღვრული დონის მიცემის გარანტიაა. ამიტომ თეორიულ ლიტერატურაში შემოთავაზებულ ტერმინთაგან, “სწავლებას” განსწავლებას” (обучение) უფრო ინტელექტუალურ სფეროს მივაკუთვნებთ, ხოლო “შესწავლას” (научение) - ემოციურ – აღმზრდელობითს. მკვლევრი ი.ხალამოვი ამ ტერმინების შემდეგნაირ გაგებას გვთავაზობს: «Понятие научения относится как к сфере обучения, так и к сфере воспитания, поскольку оно содержит в себе существенные признаки образования индивидуального опыта в определенных условиях управления поведения»<sup>8</sup>

ვფიქრობთ, საინტერესო იქნება ის ზოგადი ტენდენციები და დასკვნები, რომლებიც ე.წ. “მინი სოციალური გამოკითხვის” დროს თსუ და ტექნიკური უნივერსიტეტი გამოვლინდა. ეს გამოკითხვა, როგორც მოსალოდნელი იყო, ბევრ ხარვეზს შეიცავდა (სტუდენტებს დაურიგდათ ხელნაწერი ტესტები, არ იყო გათვალისწინებული ტესტირების, სოციალური გამოკითხვის ფსიქო-სოციალური მეთოდები და სხვა).

სტუდენტთა პასუხების თანახმად, უმაღლესი სასწავლებლის ლექტორისთვის უმთავრესია პიროვნული ღირსებები სოციალურ სტატუსთან, განათლებასთან, პროფესიასთან, კომპეტენტურობასთან შედარებით. ამას ლოგიკურად მივყავართ ლექტორთა იმ კატეგორიის უფრო მაღალ შეფასებასთან, როცა პედაგოგი დადებით ემოციას აღძრავს სტუდენტში. როგორც ვხედავთ ორივე მაჩვენებელი (პიროვნული ღირებულებები და დადებით ემოციის აღძვრის უნარი) ზოგადი ხასიათისაა, ეს ზოგადობა კი იმ უმარტივესი ფსიქოლოგიურ-შემფასებლური ნიუანსების გამოყენებით აიხსნება, რაც თანამედროვე ეპოქის სტუდენტისათვის შეფასების ქვეცნობიერი, გაუცნობიერებელი კრიტერიუმი. საკითხი იმის შესახებ, რომ ის პედაგოგია უპირატესი, ვინც დადებით ემოციას აღძრავს სტუდენტში, ვფიქრობთ, იერარქიული კონკრეტიზაციისკენ მიდის, რადგან გამოკითხულებს შემდეგ და შემდეგ ისეთი ლექტორები მოსწონთ, ა) ვისთანაც “გახსნილნი” არიან (ე.ი. ასეთ ურთიერთობაში ნაკლებად არის კომპლექსის გაგება); ბ) ვისაც კარგი მანევრები აქვს (ვთქვათ, ლექციაზე

დაუგვიანებლად მოსულ სტუდენტს ვარდს ჩუქნის), ამ კატეგორიაშია ლექტორთა ის ჯგუფი, ვისაც დადებითი სანქციების განხორციელება ახასიათებთ; გ) ვინაც სიურპრიზებს ამზადებს (ასეთ დროს ურთიერთობა მოულოდნელობის ეფექტზეა დამყარებული, ამიტომ, სტუდენტების თვალსაზრისით, ყველაზე ნეიტრალურ ქმედებასაც შეიძლება საოცრად დადებითი ელფერი მიეცეს); დ) ვინც კარგი გარეგნობისაა. ამ მხრივ, საყურადღებოა სტუდენტების მხრიდან ლექტორის მისამართით თქმული კომპლიმენტის ტაქტიკაზე საუბარი. “როცა არ მიყვარს, კომპლიმენტს ვერ ვეტყვი” – პედაგოგის მიმართ ინტელექტუალურ გამოკითხულთა აზრით, პირველი ტიპის კომპლიმენტი უხერხულია და არაკორექტული ტონის მატარებელი. უმაღლეს სასწავლებელში უფრო მეორე ტიპის კომპლიმენტს მომართავენ. ხოლო შეკითხვა: “უყურებთ თუ არა ლექტორს თვალებში”. მხოლოდ ორი დადებითი პასუხით შემოიფარგლა: “დიახ” და “ზოგჯერ”. იმ შემთხვევაში, როცა პასუხად გვაქვს სიტყვა – “ზოგჯერ”, სტუდენტები ამას უფრო გაუცნობიერებელ მომენტებს უკავშირებენ, ხოლო პირველ შემთხვევაში, როცა პასუხად გვაქვს – “დიახ”, ამას ე.წ. “სტუდენტურ კომპებს” უკავშირებენ, თვალებში ყურებით თანააზროვნების, თანხმობის, ყურადღების გამახვილების იმიტაციას შეგნებულად ქმნიან. არის შემთხვევები, როცა სტუდენტი, ყოველგვარი სიყალბის გარეშე, შინაგანად გრძნობს თვალში ყურების აუცილებლობას, მაგრამ ამას ვერ ახერხებს.

ლექტორსა და სტუდენტს შორის სიყვარულის შესაძლო ხარისხებს შორის სახელდება შემდეგი ტიპის სიყვარული: როგორც ავტორიტეტი, როგორც ხარიზმა, როგორც მეგობარი, როგორც მშობელი, როგორც პარტნიორი. ამათგან ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ერგო პასუხს – “როგორც პარტნიორი”, იგი განსხვავდება მეგობრისაგან, რადგან მეგობრობის შემთხვევაში ურთიერთობა უფრო სურვილზეა დამოკიდებული, ვიდრე აუცილებლობაზე, ხოლო პარტნიორობის დროს მოთხოვნები, ვალდებულებები, შესაძლებლობები, სურვილები თანაბარ დონეზე უნდა იქნას განხორციელებული. ვფიქრობთ, სტუდენტსა და ლექტორს შორის პარტნიორული ურთიერთობის მსგავსი დონე ჯერ ჩვენს სინამდვილეში არ არსებობს. გამოკითხვის ე შედეგი ან აღნიშნული ურთიერთობის დამყარების სურვილითაა გამოწვეული ან ტერმინი “პარტნიორული” არასწორადაა გაგებული. მეორე შედეგი – “როგორც ავტორიტეტი” აბსოლუტურად ეწინააღმდეგება პირველს. აქ დისტანცია ლექტორსა და სტუდენტს შორის არის ვერტიკალური ანუ ზევიდან ქვევით, პირველ შემთხვევაში კი – ჰორიზანტალური ანუ კომუნიკაციური. უნდა ითქვას, რომ სტუდენტთა ნაწილი უფრო სასურველად მიიჩნევს ავტორიტეტული ლექტორის ყოლას, ისეთის, ვინც ძალიან ხშირად გამოჩნდება თუნდაც მასობრივი ინფორმაციის სხვადასხვა საშუალებების არხებზე. თუმცა ორმა ტერმინმა გადაკვეთა ერთმანეთი: სასურველობა და სიყვარული.

უარყოფილია ლექტორის ორი გაგება – ხარიზმისა და მშობლისა. ეს მოდგომა სრულიად ბუნებრივიცაა და გასაგებიც. აქ ორ უკიდურესობასთან გვაქვს საქმე. პედაგოგი, როგორც ღვთაებრივი წარმოშობის, როგორც ერთადერთი და განუმეორებელი, უარყოფილია. უგულვებელყოფილია აგრეთვე “პედაგოგი – დედა” თავისი ამბიციური და გაზვიადებული – გადაჭარბებული გაგებით.

სტუდენტებმა თავიანთი სურვილით გამოჰყვეს პედაგოგიური ურთიერთობის თანმხლები პრობლემები. მათ შორის გამოიკვეთა რამდენიმე ემოციური პრობლემა, რაც გადაუდებელ გადაწყვეტას საჭიროებს:

1. “ლექტორების დიდი ნაწილი დაკომპლექსებულია, ისინი ვერ ახერხებენ თუ არ სურთ, კეთილგანწყობილი ურთიერთობების დამყარება სტუდენტებთან”;

2. "სტუდენტსა და ლექტორს შორის ახლოურთიერთობის პრობლემა არ უნდა დადგეს";
3. "ლექტორი არ უნდა არჩევდეს სტუდენტს"(!);
4. "ისინი უნდა იყვნენ ურთიერთპასუხისმგებელი";
5. "ლექტორი უნდა იყოს როგორც ავტორიტეტი, ასევე პარტნიორი სასწავლო პროცესში" – ასე ფიქრობენ სტუდენტები.

სამწუხაროა, რომ სტუდენტები გულისტკივილით აღნიშნავენ უმაღლესი სკოლის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლასთან მსგავსებას და ამით ორივე სისტემაში არსებულ უამრავ ნალოვანებას უსვამენ ხაზს. ამ პრობლემით გამოწვეული კომპლექსით აიხსენება ისიც, რომ ისინი ჯერ კიდევ არ არიან დარწმუნებულნი იმაში, რომ უმაღლესი სასწავლებელი სტუდენტისათვის არსებობს. ასეთ პირობებში სტუდენტები თვითდამკვიდრების გარემოს ძიებაში ხშირად არასასურველი სოციალური ჯგუფების გავლენის ქვეშ ექცევიან.

ვფიქრობთ, ამ მხრივაც მეტად მნიშვნელოვანია უმაღლეს სასწავლებელში ემოციური ურთიერთობების საკითხის დარეგულირება. რომ ეს ორმხრივი პროცესი უფრო საინტერესო გახდეს.

ჩვენი მსჯელობიდან გამომდინარე, უმაღლესი სკოლა ემსახურება პიროვნების შინაგანი კულტურის დახვეწას, სტუდენტის პიროვნების ჩამოყალიბების პროცესს, აქ დიდ როლს თამაშობს ადამიანის ემოციური სამყარო. როცა სტუდენტი ამბობს: "არ მიყვარს, ლექტორი იმიტომ, რომ მე მას არ ვუყვარვარ", ასეთ პირობებში ინტელექტუალურ წინსვლაზე საუბარიც ზედმეტია.

ერთი რამ კი უსათუოდ ცხადია, ყველა მეცნიერება და მათ შორის პედაგოგიკა, სამ უზოგადეს ფილოსოფიურ კატეგორიას უნდა ემყარებოდეს: "სიკეთე, სამართლიანობა და ჭეშმარიტება".

---

<sup>1</sup> ი.ჭკუასელი, პედაგოგიკის ზოგადი საკითხები, თბილისი 1986

<sup>2</sup> იქვე

<sup>3</sup> ი.ჭკუასელი, პედაგოგიკის ზოგადი საკითხები, თბილისი 1986

<sup>4</sup> იქვე

<sup>5</sup> იქვე

<sup>6</sup> С.Д. Смирнов, Педагогика и психология высшего образования от деятельности к личности, Москва, 2001

<sup>7</sup> იქვე

<sup>8</sup> Н.Ф. Харальов, Москва, 1990